

Black Sea Submarine Power Cable Project: Georgia's New Transit Perspective შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი: საქართველოს ახალი სატრანზიტო პერსპექტივა

Giuli Giguashvili

PhD in Economics, Professor at

Gori State University

e-mail: giuligiguashvili@gu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-5657-7544>

Abstract: In the modern world, along with the growth of the population and the production process, the demand for energy increases, which consequently causes a shortage of energy resources and exacerbates the problems related to climate change. In order to solve the problem of exhaustible resources, the world began to use renewable energies: wave, wind, biomass, solar, geothermal, and hydropower. Sustainable energy development implies a synergy of energy efficiency, renewable energies, and policy development, which in turn requires the availability of resources, significant investments, strong political will, and cooperation between different regions and countries.

The Black Sea underwater electric cable project provides a new opportunity for the development of the energy sector of Georgia. The project implementation initiative that belongs to Georgia is already a reality today. On December 17, 2022, the "Project of the Century" was signed, which ensures the export of green energy to the European Union through the Black Sea. The project aims to connect the South Caucasus region with South-Eastern Europe. It will contribute to the strengthening of energy security, the development of the renewable energy sector, and the increase of transit opportunities between the mentioned regions.

The Black Sea submarine electric cable project will connect the electrical systems of Georgia, Azerbaijan, Romania, and Hungary. The project is significant for all parties involved in it. However, there are relevant questions, in particular, what economic benefits the project can bring to Georgia and what should be done to get the maximum benefits. It is important that Georgia is represented in the project not only as a transitor but also as an exporter.

The article evaluates the transit potential of the Black Sea submarine electric cable project and the stimulating role of the project on participating countries' energy

security and green energy production. Opinions are expressed about the challenges and economic benefits related to the implementation of the project.

Key words: energy security, renewable energy, Black Sea energy cable, transit potential of Georgia.

გიული გიგუაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: giuligiguashvili@gu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-5657-7544>

აბსტრაქტი: თანამედროვე სამყაროში, მოსახლეობის რაოდენობის და წარმოების პროცესის ზრდასთან ერთად, იზრდება ენერგიაზე მოთხოვნა, რაც შესაბამისად იწვევს ენერგორესურსების დეფიციტს და ამწვავებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამოწურვადი რესურსების პრობლემის მოგვარების მიზნით, მსოფლიომ დაიწყო განახლებადი ენერგიების: ტალღების, ქარის, ბიომასის, მზის, გეოთერმული, წყლის ენერგიების გამოყენება. ენერგიის მდგრადი განვითარება გულისხმობს ენერგოეფექტიანობის, განახლებადი ენერგიებისა და პოლიტიკის შემუშავების სინერგიას, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს რესურსების ხელმისაწვდომობას, მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ძლიერ პოლიტიკურ ნებასა და თანამშრომლობას სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებს შორის.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ შესაძლებლობას იძლევა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი. პროექტის განხორციელების ინიციატივა, რომელიც საქართველოს ეკუთვნის, დღეს უკვე რეალობას წარმოადგენს. 2022 წლის 17 დეკემბერს ხელი მოეწერა „საუკუნის პროექტს“, რომელიც ევროკავშირში, შავი ზღვის მეშვეობით, მწვანე ენერგიის ექსპორტს უზრუნველყოფს. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას. იგი ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ელექტროსისტემებს დააკავშირებს. პროექტი მნიშვნელოვანია მასში მონაწილე ყველა მხარისთვის, თუმცა აქტუალურია კითხვები, კერძოდ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს პროექტმა და რა უნდა გაკეთდეს მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ

საქართველო პროექტში არა მხოლოდ ტრანზიტორის, არამედ ექსპორტიორის სტატუსითაც იყოს წარმოდგენილი.

სტატიაში შეფასებულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის სატრანზიტო პოტენციალი, პროექტის მასტიმულირებელი როლი მონაწილე ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებასა და მწვანე ენერგიის წარმოებაზე; გამოთქმულია მოსაზრებები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების და ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ენერგოუსაფრთხოება, განახლებადი ენერგია, შავი ზღვის ენერგოკაბელი, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი.

მსოფლიო გლობალური რისკების გამწვავების ეპოქაში, როცა თითქმის ყოველდღიურად ვიღებთ შემამფოთებელ ინფორმაციას ბუნებრივი კატაკლიზმების: მიწისძვრების, ცუნამების, ზვავების, წყალდიდობების, ტყის მასიური ხანძრების და სხვ. შესახებ, კიდევ უფრო იზრდება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნები (SDGs), სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებთან ერთად, აქტიურად განიხილავს, კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს, და ძირითადად ორიენტირებულია მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე (Giguashvili, 2022: 573-580).

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში. ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეებმა თავიანთი ურთიერთობები უნდა ააგონ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით (ასოცირების შესახებ შეთანხმება., 2021: 426). მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა ასახულია „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“-ში (ხედვა 2030., 2022). სტრატეგიაში (ამოცანა 14.1) გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შემცირება (ხედვა 2030., 2022: 168), რაც ითვალისწინებს მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნას, რომელიც გაძლიერდება აუცილებელი კომპონენტებით: საქართველოს ძირითადი მდინარეების აუზში ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, გვალვა, ძლიერი ქარი, მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) გამოვლენა, ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელისა და სადამკვირვებლო პუნქტების გაფართოება; ამინდისა და ჰიდროლოგიური პროგნოსტიკული მოდელების დანერგვა.

ამოცანის შესრულება მინიმუმამდე დაიყვანს კლიმატური კატასტროფებით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალს და რაც ყველაზე მთავარია, შექმნის ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ადამიანური მსხვერპლის მაქსიმალურად თავიდან აცილების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რომლის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ, როცა მეწყერმა 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ექსპერტთა ნაწილი ხშირ შემთხვევაში მსგავს არასასურველ მოვლენებს გარემოსადმი უდიერ დამოკიდებულებას (ტყეების გაჩეხვას, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და სხვა) უკავშირებს. არადა, 21-ე საუკუნეში, ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფას და საკუთარი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას. საქართველოში ელექტროენერგიის გენერაციის 80% ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. ქვეყანაში 26 ათასზე მეტი მდინარე გვაქვს, თუმცა არსებული მდინარეებიდან ელექტროენერგიის გამომუშავების ეკონომიკურად მიზანშეწონილი პოტენციალის მხოლოდ 20%-მდეა ათვისებული (Giguashvili, 2022a).


არსებული ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა ბოლო პერიოდში საქართველოში იმდენად გამწვავდა ნეგატიური განწყობა ჰიდროელექტროსადგურების მიმართ, რომ მუდმივად გვჭირდება იმის დასაბუთება, რამდენად სარგებლიანია ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა იმ ზიანის საპირწონედ, რასაც ისინი აყენებენ გარემოს და ადამიანებს; დარგის ექსპერტები ცდილობენ დააზუსტონ: სიმართლეა თუ არა, რომ ჰესების მშენებლობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში. კვლევებით დასტურდება, რომ ხშირ შემთხვევაში, ჰესების აშენება მართლაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების და ტყეების დატბორვას; ნეგატიურად ზემოქმედებს მიკროკლიმატზე, ზრდის ტენიანობას, ცვლის ლანდშაფტს, იზრდება მეწყერული პროცესების გააქტიურების საშიშროება. ამდენად, ჰესების მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა მოსალოდნელი რისკი, რათა შესაძლებელი იყოს მათი მინიმალიზაცია; განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ქვეყნის ჰიდრორესურსის გონივრული და გამართლებული ათვისება.

კვლევები ადასტურებს, რომ საშუალოდ, 1 მეგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობის ეფექტი მშპ-ზე 10 წლიან პერიოდში 2.16 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა მისი არ აშენების შემთხვევაში ეს ეფექტი თითქმის 3.5-ჯერ ნაკლებია, თითქმის - 0.62 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, დამატებით, ჰესები გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფენ ქვეყნის

უსაფრთხოებისა და ელექტროენერგიის მიწოდების გაცილებით მაღალ დონეს (ადგილობრივი., 2020).

ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა ახასიათებს მზარდი ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანას და გამოწვევას არც საქართველო. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთხოვნა წელიწადში საშუალოდ 6.7%-ით იზრდებოდა, ხოლო გენერაცია ამავე პერიოდში - საშუალოდ 3.9%-ით. შესაბამისად იზრდება ენერგოდამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან (წლიური ანგარიში, 2021). ცალკე პრობლემაა საქართველოში კრიპტოვალუტის წარმოების მაღალი ტემპი, რაც დიდი ოდენობით ენერგიას მოიხმარს.

დიაგრამა 1 ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2021 წელს



წყარო: <https://www.gse.com.ge/>

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთავრობა ენერგოდამოუკიდებლობის და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განახლებადი ენერგიების წარმოებას. ჩვენი ქვეყანა მდიდარია განახლებადი ენერგიის ისეთი წყაროებით, როგორიცაა ქარის ენერგია, მზის ენერგია, გეოთერმული ენერგია და ბიომასა. თუმცა, ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობისადმი ინტერესი. სულ უფრო და უფრო მცირდება ქარის ტურბინების და მზის პანელების თვითღირებულება, რის გამოც ქარის და მზის ენერგიის ათვისება სულ უფრო მიმზიდველი ხდება. მათი ელექტროსადგურების მშენებლობას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე ჰესებს. ასევე მინიმალურია მათზე ე.წ. საოპერაციო ხარჯები. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, 2025 წლისთვის შესაძლებელია დაახლოებით 500 მგვტ ქარის და 250 მგვტ მზის სადგურების ინტეგრაცია (ათწლიანი გეგმა, 2023: 292). საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2024 წლისათვის ქვეყნის განახლებად

ენერგიებზე მომუშავე ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 4067 მგვტ-ს, ხოლო 2030 წლისათვის 6265 მგვტ-ს მიაღწევს (ხედვა 2030., 139).

ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის მაღალი დონე და ელსადგურების შესაბამისი სიმძლავრით უზრუნველყოფა აუცილებელს ხდის გადაცემის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. 2022 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მისმა წილმა 7,5% შეადგინა, 2023 წლის დასაწყისითვის კი უკვე 7,9%-ია (geostat.ge, 2023). მნიშვნელოვანი მიღწევები ფიქსირდება მსოფლიო მასშტაბით, 2022 წელს, UNCTAD-ის მიერ მონიტორინგის ქვეშ მყოფმა 100-მა საპენსიო ფონდმა გააუმჯობესა ინვესტიციები განახლება ენერგიებში და მოახერხა წიაღისეული საწვავისგან განთავისუფლება. საანგარიშო ფონდების ორმა მესამედმა აიღო ვალდებულება, რომ მათ საინვესტიციო პორტფელებში 2050 წლისთვის წიაღისეული საწვავი აღარ შეგვხვდება (Giguashvili., 2023).

საქართველოს ენერგოსექტორში ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საიმედოობის უფრო მაღალი სტანდარტების მისაღწევად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ (სსე), როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორმა, შეიმუშავა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2030 წლამდე პერიოდისათვის. აღნიშნული გეგმა დამტკიცებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 9 აგვისტოს № 1-1/343 ბრძანებით (წლიური ანგარიში, 2021: 48). საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შესასრულებლად სავალდებულო აქტია. გეგმა გათვლილია პერიოდზე 2023 წლიდან 2033 წლის ჩათვლით (ათწლიანი გეგმა, 2023).

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს გადამცემ ქსელს აქვს პოტენციალი შეასრულოს რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია და შეიძინოს სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიის და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენერგეტიკული ინტეგრაციის ამოცანათა გადაჭრაში, რაც გულისხმობს მეზობელი ქვეყნების სიმძლავრის შეკრება-განაწილებას და მათ შორის ელექტროენერგიის მიმოცვლას და ვაჭრობას, საქართველოს გადამცემი ქსელის გავლით. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში გათვალისწინებული ელსადგურების ჯამური სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ენერგოსისტემის დაგეგმილ ჯამურ მოხმარებას 2023-24 წლებში, ამიტომ ამ სიმძლავრის გატანა უნდა მოხდეს მეზობელ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ საქართველოდან ელექტროენერგიის მიღების ინტერესი. ქართველი და მეზობელი ქვეყნების (მაგალითად, საქართველო-თურქეთი, საქართველო-სომხეთი) სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის და ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე, გამოვლენილი იქნა

საქართველოს ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაძლიერების აუცილებლობა, კერძოდ:

- თურქეთთან ახალი 350 მგვტ სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართის ბლოკი და ახალციხეში, შესაბამისი 400 კვ ტრანსსასაზღვრო ელექტრო გადამცემი ხაზი ახალციხე-თორთუმი;

- რუსეთთან ახალი 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი;

- სომხეთთან ახალი 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი მარნეული-აირუმი;

- აზერბაიჯანთან კავშირის ხაზების შემდგომი გაძლიერების კუთხით უკვე დასრულებულია 330 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი „გარდაბანის“ გაორჯაჭვიანება, რომლის გამტარუნარიანობა 263 აღწევს 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი „მუხრანის ველის“ გამტარუნარიანობას და შეუძლია სრულად დაარეზერვოს ის.

ელექტროენერგიის მიმოცვლა ხორციელდება: საქართველოდან რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და პირიქით; ასევე რუსეთიდან თურქეთში, აზერბაიჯანიდან თურქეთში; ამ ამოცანათა შესრულებას ემსახურება საქართველოს ელექტროსისტემის სატრანზიტო გადამცემი ხაზები, თუმცა მათი გამტარუნარიანობა შეზღუდულია ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის დასაშვები სარეჟიმო პარამეტრებიდან გამომდინარე (ათწლიანი გეგმა, 2023: 215).

საქართველოს გადამცემი ქსელის რუკა 2023



წყარო: https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

ენერგეტიკის სექტორის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გრძელდება გადამცემი ინფრასტრუქტურის, როგორც ელექტროენერგიის, ასევე ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა. დღეისათვის საქართველოში ხორციელდება

გადამცემი ქსელის სისტემათაშორისი და სასისტემო მნიშვნელობის 16 პროექტი, რომელთა განხორციელება არსებული და სამომავლო გამოწვევების დაძლევის კარგი შესაძლებლობაა. ამ პროექტებში გაერთიანებულია გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის ელემენტები. პროექტები რამდენიმე ქვეპროექტისგან და/ან ნომინალური ძაბვის ერთი ან რამდენიმე საფეხურის ხაზებისა და ქვესადგურებისაგან შედგება. 15 მათგანი ცვლადი დენის ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური ან ავტოტრანსფორმატორია, ხოლო 1 წარმოადგენს მუდმივი დენის ჩანართს და ცვლადი დენის ხაზს ერთად (ათწლიანი გეგმა, 2023).

ათწლიანი გეგმის თანახმად, 2023-2025 წლებში ექსპლუატაციაში შევა პროექტების 61%. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „მოკლევადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. 2026-2027 წლებში გეგმის მიხედვით, ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს პროექტების 23%. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „საშუალოვადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. გამოვლენილია ამ პროექტების ძირითადი მახასიათებლები და სავარაუდო ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემები. 2028-2033 წლებში ექსპლუატაციაში შევა - პროექტების 17 %. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „გრძელვადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. 2023-2033 წლებში ახალი, რეაბილიტირებული ან გაორჯაჭვიანებული გადამცემი ხაზების ჯამური სიგრძე (ტრასის სიგრძე) დაახლოებით 1400 კმ-ია, ხოლო ქვესადგურების ჯამური სიმძლავრე - 5000 მგვა-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ 4 პროექტი ემსახურება სისტემათაშორისი კავშირების გაძლიერებას, მათ შორის 1 - თურქეთთან მუდმივი დენის ჩანართით, 1 - სომხეთთან, 1 - რუსეთთან და ერთი აზერბაიჯანთან. 6 პროექტი ემსახურება შიდა სასისტემო გამტარუნარიანობის გაზრდას და საიმედოობის ამაღლებას (ათწლიანი გეგმა, 2023).

პროექტების ექსპლუატაციაში შესვლის მოსალოდნელი თარიღები



წყარო : https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

საქართველო მიზნად ისახავს განავითაროს ტრანსსასაზღვრო ელექტროენერგიით ვაჭრობა გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოსა და რუმინეთს შორის შავ ზღვაში წყალქვეშა გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს. წყალქვეშა

ელექტროგადამცემი კაბელის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 1195 კმ. (95 კმ. სახმელეთო და 1100 კმ. წყალქვეშა ნაწილი) იქნება, ხოლო სიმძლავრე - 1000 მგვტ. წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელი ასევე აღჭურვილი იქნება ციფრული კავშირით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ტელეკომუნიკაციას რუმინეთსა და საქართველოს შორის.

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა შეისწავლა და წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე დაადასტურა საქართველოსა და რუმინეთს შორის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. შავი ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების დაკავშირება წყალქვეშა გადამცემ ხაზთან პოტენციურად შეიძლება ჩაითვალოს საერთო ინტერესის პროექტად და შეიძლება თანადაფინანსებული იყოს შესაბამისი ევროპული ფონდების და ასევე ბალკანეთის/სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაინტერესებული ქვეყნების მიერ. პროექტის სრული მიზანშეწონილობის შესწავლის მიზნით სსე-მ 2022 წლის 26 აპრილს გამოაცხადა მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის შესახებ (საკონსულტაციო მომსახურება - ფირმების შერჩევა). კვლევის ჩასატარებლად შეირჩა იტალიური კომპანია CESI. კვლევა 6 თემატურ ეტაპად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგეტიკული კომპანიების ჩართულობით ჩატარდება. მასში მსოფლიო ბანკი 2,5 მილიონ ევროს იხდის. კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და 18 თვეში უნდა დასრულდეს. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებისა და შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები და საუკეთესო გზები (წლიური ანგარიში, 2021: 45).

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი იძლევა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ შესაძლებლობას. პროექტის განხორციელების ინიციატივა, რომელიც საქართველოს ეკუთვნის, დღეს უკვე რეალობას წარმოადგენს. 2022 წლის 17 დეკემბერს ხელი მოეწერა „საუკუნის პროექტს“, რომელიც ევროკავშირში, შავი ზღვის მეშვეობით, მწვანე ენერგიის ექსპორტს უზრუნველყოფს. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას. იგი ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებასა და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, 2022 წლის 17 დეკემბერს რუმინეთის დედაქალაქში, ბუქარესტში, ოთხმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, ევროკავშირი მზადაა, ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს შავ ზღვაში ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის

გაყვანის პროექტს. მისი აზრით, ეს შეთანხმება ევროკავშირის სამხრეთ კავკასიელ პარტნიორებთან დაახლოებს და ორივე რეგიონს განახლებად ენერგიაზე გადასვლაში დაეხმარება. „რუსეთის ომის დაწყების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა რუსულ წიაღისეულ საწვავზე და დავყრდნობოდით მეტად სანდო პარტნიორებს — ისეთებს, როგორებიც ამ მაგიდის გარშემო სხედან“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა. მან დასძინა, რომ ეს ინიციატივა გააძლიერებს ენერგოუსაფრთხოებას ევროპაში, ხოლო საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ახალ შესაძლებლობებს მისცემს: „ეს პროექტი უდიდეს სარგებელს მოუტანს საქართველოს, ევროპული მისწრაფების მქონე ქვეყანას. მას შეუძლია, საქართველო ელექტროენერგიის ჰაზად აქციოს და ევროკავშირის შიდა ენერგობაზარს შეუერთოს. ამასთან, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის კაბელს შეუძლია, ელექტროენერგიის მიღებაში დაეხმაროს ჩვენს მეზობლებს მოლდოვასა და დასავლეთ ბალკანეთში, ხოლო უკრაინას ენერგოსისტემის აღდგენის დაწყება გაუადვილოს“ (<https://euneighbourseast.eu/>, 2022).



წყარო: მსოფლიო ბანკი

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ელექტროსისტემებს დააკავშირებს. პროექტი მნიშვნელოვანია მასში მონაწილე ყველა მხარისთვის, თუმცა კვლავ აქტუალურია კითხვები, კერძოდ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს პროექტმა და რა უნდა გაკეთდეს მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

დასკვნა და რეკომენდაციები: ამრიგად, საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ჯერ არ დასრულებულა, პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და აკადემიურ ლიტერატურაში წარმოდგენილი კვლევების ანალიტიკური დამუშავების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი შესაძლებელია რეალობად იქცეს 3-4 წელში. ის მართლაც ახალი სატრანზიტო შესაძლებლობაა საქართველოსთვის. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ევროპის ბევრმა ქვეყანამ მტკიცედ

გადაწყვიტა რუსულ ენერგიაზე უარის თქმა. ხოლო ამ პროექტით შესაძლებელი გახდება აზერბაიჯანის მწვანე ენერგია ევროპას მიეწოდოს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მეშვეობით. ერთი მხრივ, მდგრადი მიზნების შესაბამისად, ხელი შეეწყობა განახლებადი ენერგიის წარმოებას და მეორე მხრივ, შემცირდება ევროპის რუსეთზე ენორგოდამოკიდებულება, ხოლო საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო პროექტში არამხოლოდ ტრანზიტორის, არამედ ექსპორტიორის სტატუსითაც იყოს წარმოდგენილი. ამისათვის კი აუცილებელია საქართველოს განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისება, განსაკუთრებით, ქარისა და მზის ენერგიის წარმოების განვითარება, ხოლო მისი ტრანზიტისთვის პირველ რიგში საჭიროა მდგრადი, საიმედო, ეკონომიკური და ეფექტური ელექტროგადამცემი ქსელის შექმნა, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს: მიწოდების უსაფრთხოებას, ქსელის საიმედოობას, ელექტროენერგიის ხარისხს; საკმარის გამტარუნარიანობას, განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრაციას და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგიის ექსპორტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება.., 2014: - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 2014: გვ. 426.
https://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472219609_asocirebis-shesakheb-shethankhmeba.pdf
2. ხედვა 2030.., 2022: - ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია. <https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf>
3. ადგილობრივი.., 2020: - ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული რესურსების განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში (2020), https://gegroupp.org/assets/project_presentation/Final_Report.pdf
4. წლიური ანგარიში, 2021: - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, წლიური ანგარიში 2021|2022.
https://www.gse.com.ge/sw/static/file/ANNUAL_REPORT_2021-22_GEO_1.pdf
5. ათწლიანი გეგმა, 2023: - საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033. გვ. 292.
https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

6. geostat.ge, 2023: - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>
7. <https://euneighbourseast.eu/>, 2022: - ევროკავშირი შავ ზღვაში წყალქვეშა ელექტროკაბელის გაყვანის ინიციატივას მიესალმება. დეკემბერი 20, 2022.
<https://euneighbourseast.eu/ka/news/latest-news/evrokavshiri-shav-zghvashi-cqhalxvesha-elekhtrokabelis-gaqhvanis-initsiativas-miesalmeba/>
8. Giguashvili, 2022: - Giguashvili, G., Azmaiparashvili, M., Makasarashvili, T., & Khorguashvili, T., Aspects of sustainable economic development in post-pandemic Georgia. ISJ Theoretical & Applied Science, 02 (106), 573-580. Doi: <https://dx.doi.org/10.15863/TAS>
9. Giguashvili, 2022a: - Giguashvili G. (2022). THE MAIN CHALLENGES OF ENERGY INDEPENDENCE OF GEORGIA. Grail of Science, (21), 19–24.
<https://doi.org/10.36074/grail-of-science.28.10.2022.001>
10. Giguashvili., 2023: - Giguashvili, G. ., Makasarashvili, T. ., Khorguashvili, T. ., & Orjonikidze, N. . (2023). DYNAMICS OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS IN POST-PANDEMIC GEORGIA. *Grail of Science*, (30), 23–31.
<https://doi.org/10.36074/grail-of-science.04.08.2023.001>
11. The World Bank (2020). Economic Analysis of Georgia – Romania Interconnection.
<https://documents1.worldbank.org/curated/en/442791598001931856/pdf/Methodology-Note.pdf>